

აქტინიდიისა და მწვანე ჩაის გამომწმენდით სხვადასხვა სახის
საკონსერვო პროდუქტების ტექნოლოგიური
პარამეტრების გამოკვლევა

ინგა გაფრინდაშვილი – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ტარიელ მამულაიშვილი – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ვერა ბოლქვაძე – ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ზურაბ ძნელაძე – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის
ჩაქვის საცდელ-საკონსულტაციო ცენტრი

რეზიუმე: შესწავლილია აქტინიდიის ნაყოფებისა და მწვანე ჩაის ბაზაზე დამზადებული პროდუქტების – ჯემის, მურაბის, კომპოტის ორგანოლექტიკური და ბიოქიმიური მახასიათებლები და მუშავებულია და წარმოებისათვის რეკომენდებულია აღნიშნული პროდუქტების მიღების ტექნოლოგია და რეცეპტურები. ახალი სახის საკონსერვო ნაწარმი მოსახლეობისათვის რეკომენდებული როგორც ფართო მოხმარების საკვები პროდუქტები, ასევე შესაძლებელია ისინი გამოიყენებოდეს საბავშვო და დიეტურ საშუალებებად.

აქტინიდია საქართველოში შედარებით ახალი კულტურაა. სუბტროპიკული მცენარე, რომელიც ხასიათდება ბიოლოგიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით, ფართოდ გავრცელებულია ბოლო 14-15 წლის განმავლობაში. ამასთანავე, აქტინიდიის ნაყოფებსა და ფოთლებს გააჩნია სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებები.

კივის ნაყოფი, სხვა ხილისაგან განსხვავებით, მრავალმხრივ მოიხმარება. ნაყოფის რბილობი მომწიფებისას მზინავე და მწვანე ფერად შენარჩუნდება. მასში C ვიტამინის დიდ რაოდენობით არსებობისა და, ასევე, ვიტამინების B1, B2, P და მინერალური მარილების შემცველობის საკმაოდ რაოდენობის წყალობით, მას საუკეთესო საგემოვნო და მაღალი ღირებულების ბიოქიმიური თვისებები გააჩნია(1).

აქტინიდიის ნაყოფის საუკეთესო თვისებები: გარკვეული რაოდენობის სიტკბო, სასიამოვნო გემო, სინაზე და არომატულობა, რაც შესაძლებლობას იძლევა ნაყოფი გამოყენებულ იქნეს როგორც ნედლი სახით, ასევე წვენების, მურაბების, ჯემების დასამზადებლად და საკონდიტორნაწარმის მოსართავად.

თანამედროვე ბიოქიმიისა და მედიცინის მიღწევების თვალსაზრისით, გამოყენებულია მწვანე ჩაის, როგორც ფართო მოხმარების პროდუქტის როლი, რომელსაც აქვს დიდი ფიზიოლოგიური, სამკურნალო და დიეტური მნიშვნელობა (2).

წინამდებარე ნაშრომის ჩატარებული გამოკვლევები საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს აქტინიდიისა და მწვანე ჩაის წყლიანი ექსტრაქტის ბაზაზე, დამზადდეს სრულიად ახალი სახის საკონსერვო პროდუქტები.

კვლევის მეთოდთა და შედეგები

კვლევის მიზანია კივისა და მწვანე ჩაის ბაზაზე მიღებული ახალი ჩაის საკონსერვო პროდუქტების (ჯემი, კომპოტი, მურაბა) წარმოების ტექნოლოგიური პარამეტრების გამოკვლევა და დამუშავება. კვლევის ობიექტად გამოიყენებოდა კივის ნაყოფები, კივის ფოთლებისა და მწვანე ბაჩხის ჩაის წყლიანი ექსტრაქტი.

კონსერვირებული ნიმუშები მზადდებოდა არსებული ტექნოლოგიური ინსტრუქციის დაცვით, როგორც ლაბორატორულ, ასევე საწარმო პირობებში.

ახალი სახის პროდუქტების – ჯემის, კომპოტის, მურაბის მიღება ხდებოდა არსებული ტექნოლოგიის ბაზაზე.

კივის ნაყოფისაგან დამზადებული პროდუქტების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამიღვრების მიზნით, ვიყენებდით კივის ფოთლების ექსტრაქტისა და მწვანე ჩაის ექსტრაქტის ნარეუს, თანაფარდობით 1:1-თან. აქტინიდიის ფოთლების ექსტრაქტს მშრალი ნივთიერებების შემცველობით 2% და მწვანე ჩაის ექსტრაქტის მშრალი ნივთიერებების შემცველობის 3%.

აქტინიდიის ნაყოფისა და მწვანე ბაზის ჩაის ბაზაზე დამზადებული ახალი
ხახის პროდუქტების, მურაბა, ჯემი, კომპოტი, ბიოქიმიური მაჩვენებლები

№	ბიოქიმიური მაჩვენებელი	კომპოტი		ჯემი		მურაბა	
		საკონ- ტროლო	საცდელი	საკონ- ტროლო	საცდელი	საკონ- ტროლო	საცდელი
1	მშრალი ნივთიერება	22	22.4	70	70.3	68	68.2
2	მჟავიანობა	1.29	1.3	1.43	1.44	1.45	1.47
3	მთრიმლავი ნივთიერებანი მგ/გ	1.53	1.58	1.38	1.41	1.64	1.66
4	საერთო შაქრები	19.26	20.22	62.62	64.1	62.63	64.51
5	ვიტამინები მგ/% C	0.61	0.82	0.59	0.78	0.57	0.63
	B1	0.4	0.42	0.03	0.04	0.02	0.05
	B2	-	-	-	-	-	-
6	P ვიტ-ად აქტიური ნივთ.	0.58	0.84	0.53	0.86	0.61	0.91
7	ამინომჟავები %	0.836	0.992	0.672	0.778	0.725	0.863
8	ნაცარი	0.215	0.225	0.187	0.192	0.130	0.145
9	იოდი მკგ	19.6	20.1	18.6	19.79	15.7	16.2
10	ვადლერიანის მჟავა	0.38	0.38	0.37	0.37	0.37	0.37

მიღებულ ექსტრაქტში მოვხარშეთ 30%-იანი შაქრის სიროფი და დავასხით წინასწარ კანგა-
ცლილი აქტინიდიის ნაყოფების მომზადებულ ქილემში. რომლებ-საც ჩაუტარეთ სტერილიზაცია, 10
წუთის განმავლობაში, 100°C -ზე.

ჯემის მიღების დროს, შესწავლილ იქნა შესარევ ინგრედიენტთა (კივის და მწვანე ჩაის
ექსტრაქტის) შემდეგი წონითი თანაფარდობები: 95:5; 90:10; 85:15; 80:20).

კივის ჯემის დასამზადებლად წინასწარ კანგაცილილ და დაქუცმაცებულ ნაყოფებს და-
ვასხით ექსტრაქტის ნარევეზე მომზადებული 80%-იანი სიროფი და ეხარშეთ მზადყოფნამდე.

მურაბის დასამზადებლად 55% ექსტრაქტის სიროფი დავასხით ცხლად კანგაცილილ ერთ-
ნაირი ზომის ნაყოფებს, ვადუღეთ 10 წუთი და დავაყონეთ 4 საათის განმავლობაში. შემდეგ გად-
მოვასხით სიროფი ცალკე, დაუშატეთ შაქარი და მშრალი ნივთიერებები ავიყვანეთ 60%-მდე. ისევ
დავასხით ნაყოფებს, ვადუღეთ 10 წუთი და დავაყონეთ ასევე 4 საათის განმავლობაში. ამის შემ-
დეგ კვლავ გავაცხელეთ სიროფი და ნაყოფი და მშრალი ნივთიერებები სიროფში ავიყვანეთ
შაქრით 70%-მდე. ნაყოფებთან ერთად ეხარშავდით პროდუქციის მზადყოფნამდე. დამზადებული მუ-
რაბის პროდუქტიაში განსაზღვრული მშრალი ნივთიერებების შემცველობა აგვიყვანდა 68%-მდე.

მიღებული ოპტიმალური თანაფარდობის შედეგად დამზადებული ნიმუშებში გამოკვლეულ
ქიმა ზოგიერთი ქიმიური ნივთიერებათა მაჩვენებლების მიხედვით. საკონტროლო გადაამუშავება
შეესრულა მხოლოდ კივის ნაყოფების ბაზაზე, ხოლო საცდელი კი მწვანე ჩაის ექსტრაქტის დამატებით.
მატარებული ცდების შედეგები მოტანილია ცხრ. №1-ში.

როგორც ცხრილი №1-დან ჩანს აქტინიდიის ფოთლებისა და მწვანე ჩაის ექსტრაქტების
დამატების შედეგად მიღებულ ნიმუშებში გაზრდილია აქტიური ნივთიერებების შემცველობა:
მთრიმლავი ნივთიერებების, საერთო შაქრების, ვიტამინების, P - ვიტამინური აქტიური ნივთიერებე-
რის, ამინომჟავების რაოდენობა.

ნიმუშები შეფასებული ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების მიხედვით სადევუ-სტაციო კო-
მისიის მიერ (ოქმი №2. 02. 06 2004წ.) მოწონებული იქნა. დევუსტაციის შედეგები მოცემულია ცხრ.
№2-ში.

აქტინიდიის ნაყოფებისა და მწვანე ბაიხის ჩაის ბაზაზე დამზადებული პროდუქტების, ჯემი, მურაბა, კომპოტი, ორგანოლექტიკური მაჩვენებლები

ორგანოლექტიკური მაჩვენებლები		გარეგანი სახე და კონსისტენცია	გემო	საერთო ბალური შეფასება
პროდუქტის დასახელება	(ბალი)	3	4	5
ჯემი	საკონტროლო	ჯემისათვის დამახასიათებელი მოყვანილი ეიფერით	მომწვანო ტკბილი გემოთი	4.0
	საცდელი	ჯემისათვის დამახასიათებელი მომწვანო მოყვითალო ეიფერით	მომწვანო ტკბილი გემოთი	4.1
მურაბა	საკონტროლო	დანაოჭებული კანგაცლილი ნაყოფები	სასიამოვნო გემოთი	4.1
	საცდელი	დანაოჭებული კანგაცლილი ნაყოფები შვიმჩნევა ერთეული თესვები	სასიამოვნო გემოთი	4.1
კომპოტი	საკონტროლო	მომწვანო ზურმუხტისებრი	ტკბილი გემო	4.0
	საცდელი	მომწვანო ზურმუხტისებრი	ტკბილი გემო	4.1

როგორც ცხრილი №2-დან ჩანს, აქტინიდიისა და მწვანე ჩაის გადამუშავებით მიიღება მაღალი ორგანოლექტიკური მაჩვენებლების მქონე ჯემი, მურაბა და კომპოტი.

ლიტერატურა

1. ე. პაპიძე, კივი (Actinidia), ჟ. "მეცნიერება", ქ. ბათუმი 1998 წ.
2. გ. ჩხაიძე, ჟ. "სოფლის მეურნეობის კულტურები" ქ. თბილისი 1966 წ.
3. ი. გაფრინდაშვილი, "საბავშვო და დიეტური ჩაის წარმოების ტექნოლო-გიური რეგლამენტების გამოკვლევა", სადისერტაციო ნაშრომი, ქ. თბილისი, 1995 წ.

Исследование технологических параметров различных видов продукции консервного производства с использованием Актинидия и зеленого чая

**Инга Гаприндашвили, Тариел Мамулаишвили,
Вера БолквАдзе, Зураб Дзнеладзе**

Резюме: исследованы органолептические и биохимические показатели продуктов консервного производства - джема, варения, компота, полученных на базе экстрактов плодов актинидия и зеленого чая. Разработана и рекомендована производству технология и рецептуры выработки указанных продуктов. Новые продукты консервного производства предназначены для употребления населением как предметы широкого потребления в качестве пищевого продукта, а также могут быть использованы в качестве детского питания и диетического средства.

The study of technological parameters of various canned products produced from kiwi and green tea plants

**Inga Gaprindashvili, Tariel Mamulaishvili,
Vera Bolkvadze, Zurab Dzneladze**

Symmary: The project incorporates detailed study of organoleptic and biochemical features of various canned products produced from Kiwi fruits and green tea plants, such as jams and compotes. The technologies and outlines of producing such products are processed, established and recommended for production by the participants of this project. The canned products produced using the given technologies are recommended to the populations both for massive consumption and also in the perspective of childcare and dietic usage.